<u>გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის გადაწყვეტილება ტრანსპორტის სექტორის მე-2 სტრატეგიის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ</u>

1. შეფასდეს, თუ რამდენად შესაბამისობაშია ტრანსპორტის სექტორის მე-2 სტრატეგია (2ტსს) შესაბამის რეგიონულ და ეროვნულ კონცეფციებთან, კერძოდ კი, ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის კონცეფციებთან (მაგ. ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკა, ჩეხეთის რესპუბლიკის ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია, მდგრადი განვითარებისათვის ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის სტრატეგიის ეროვნული პროგრამა, ნარჩენების მართვის გეგმა, წყლის მართვის კონცეფციები სააუზო უბნების გეგმებთან დაკავშირებით, გაფრქვევების შემცირების გეგმები).

2. შეფასდეს, თუ რამდენად ითვალისწინებს 2ტსს ჩეხეთის რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების გრძელვადიანი პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს - საყოველთაო ჯანმრთელობა 21-ე საუკუნეში.

3. შეფასდეს 2ტსს-ს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზეგავლენის ოქმის მე-9 დანართის კონტექსტში, ხმაურთან, ვიბრაციასა და ჰაერში ქიმიურ დამაბინძურებლებთან დაკავშირებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით. უპირატესობა ენიჭება ისეთ ობიექტებთან დაკავშირებულ გრძელვადიან გადაწყვეტას, სადაც მაღალია ხმაურისა და ჰაერის დაბინძურების დონე.

4. შეფასდეს, თუ რამდენად და როგორ ითვალისწინებს 2ტსს დასახლებულ ადგილებში ტრანსპორტის მოძრაობის გამო ხმაურით, ვიბრაციითა და ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შემცირების/შერბილების საკომპენსაციო ღონისძიებებს.

5. შემოთავაზებული ღონისძიების უარყოფითი, ან ნეიტრალური ზეგავლენის შემთხვევაში სტრატეგიის მიზნებში ცვლილებების, ან პოლიტიკის შემუშავების გზების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ჰაერის ხარისხზე აღნიშნული სქემის უარყოფითი ზეგავლენის მინიმიზაციას, ასევე სატრანსპორტო გაფრქვევების ეტაპობრივი შემცირებისათვის სათანადო პირობების შექმნა.

6. იმ ადგილებში სადაც დაბალია ჰაერის ხარისხი, ძირითადად რეკომენდებულია სატრანსპორტო დერეფნების (ან ხაზების) შექმნა, რომლებიც ტრანზიტულ მოძრაობას ქალაქების ცენტრებიდან და სოფლებიდან სხვაგან გადაიტანს (შემოვლითი გზები, გზების გადატანა).

7. გარდა ამისა, უნდა შეფასდეს დერეფნების (ან გზების) ალტერნატივები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებისათვის, სადაც ჯერ კიდევ არ არის მთავრობის მიერ დამტკიცებული დერეფანი, ან მიწა, რომელიც დაქვემდებარებულია ტერიტორიული განვითარების შესაბამის პოლიტიკას, და ასევე იმ მონაკვეთებისათვის, რომლებზეც არ არის გაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დადებითი დასკვნა.

8. შეფასდეს, თუ რამდენად ახდენს 2ტსს გარემოსათვის უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებების, ანუ, რკინიგზის, კომბინირებული, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ველოტრანსპორტის და ა.შ. გამოყენების წახალისებას.

9. შეფასდეს, არის თუ არა 2ტსს-ში ინდივიდუალური სატრანსპორტო პროექტების შეფასებისათვის შემოთავაზებული მულტიკრიტერიული ანალიზი სათანადოდ წარმოდგენილი გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიტერიუმებით და მინიჭებული აქვს თუ არა მათ სათანადო წონა/მნიშვნელობა. თუ არ არის წარმოდგენილი, მაშინ გამოყენებული იქნას განსხვავებული მიდგომა და მულტიკრიტერიული ანალიზი, რომელიც ადეკვატურად გაითვალისწინებს საჭირო კრიტერიუმებს (ძირითადი აქცენტით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიტერიუმებსა და ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის კრიტერიუმებზე).

10. შეფასდეს, ხომ არ მოახდენს ზეგავლენას 2ტსს-ის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე, სპეციალურ დაცვას დაქვემდებარებულ ადგილებზე, ევროპის თანამეგობრობისათვის მნიშვნელოვან საიტებზე, მცენარეების, ცხოველებისა და სოკოების იშვიათ და დაცულ სახეობებზე, ეკოლოგიური სტაბილურობის ტერიტორიული სისტემების (TSES) ელემენტებზე, ნატურა 2000-ის დაცვის ობიექტებზე, რათა შეფასებული იქნას ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზეგავლენა და განსაზღვრული იქნას ყველა დონის / კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული კონფლიქტის მასშტაბები.

11. შეფასების პროცესის ნაწილისათვის აუცილებელია მეპინგი, სადაც ასახული იქნება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისათვის დაპროექტებული / დაგეგმილი დერეფნები და ინტერესთა კონფლიქტი ბუნებასა და ლანდშაფტთან. გამოვლენილ უნდა იქნას ის სავარაუდო კონფლიქტები და პრობლემები, რომლებიც გადაჭრასა და რეაგირებას მოითხოვს.

12. შემოთავაზებული ღონისძიებების პირობებისა და ლიმიტების დადგენა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვა და მათზე უარყოფითი ზეგავლენის შერბილება, მათ შორის, ნატურა 2000-ის საიტებზე.

13. ლანდშაფტის მზარდ დანაწევრებასა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაკარგვაზე 2ტსს-ის ზეგავლენის მასშტაბების შეფასება.

14. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდსა და სატყეო მეურნეობისათვის განკუთვნილ მიწაზე 2ტსს-ის ღონისძიებების განხორციელებით გამოწვეული სავარაუდო ზეგავლენის შეფასება.

15. ლანდშაფტზე, ლანდშაფტის მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, ველური ბუნების პარკებსა და ესთეტიკური ღირებულების მქონე ლადშაფტებზე 2ტსს-ის ღონისძიებების განხორციელებით გამოწვეული სავარაუდო ზეგავლენის შეფასება.

16. შეფასდეს, თუ როგორ და რამდენად ითვალისწინებს 2ტსს დაცვას დაქვემდებარებული კულტურული მემკვიდრეობის (არქიტექტურული და არქეოლოგიური) პრეზერვაციას და დაცვას.

17. იმის გათვალისწინებით, რომ სკრინინგის პროცედურის მიმდინარეობისას რიგი უწყებების მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრებები მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე 2ტსს-ის სავარაუდო ზეგავლენის თაობაზე, გარემოზე ნებისმიერი სახის ტრანსსასაზღვრო ზეგავლენის შეფასების მიზნით, აუცილებელია აღნიშნული ვარაუდების შეფასება, სავარაუდო ზეგავლენის განსაზღვრა და მისი

მასშტაბის შეფასება და ჩეხეთის რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მდებარე სავარაუდო ზეგავლენის ქვეშ მყოფი ნებისმიერი ტერიტორიის იდენტიფიცირება.

18. მთავრობის მოსაზრებაზე დაფუძნებით, შეფასების საჭიროებისამებრ გაფართოება და განახლება გარემოს ამჟამიდნელი მდგომარეობის, გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შესახებ ინფორმაცის საფუძველზე.

19. 2ტსს-ის სგშ ანგარიშში უნდა იყოს პასუხგაცემული პროცესის მიმდინარეობის შესახებ დასკვნები და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ წინასწარი პროცედურის განმავლობაში მიღებული ყველა წინადადება.

იქედან გამომდინარე, რომ ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის თაობაზე 114/1992 ოქმის (შემდგომში - ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის ოქმი) 45i მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გარემოს კონსერვაციის შესაბამისი უწყებები არ გამორიცხავენ კონსერვაციასა და ფრინველთა ტერიტორიებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის შესაძლებლობას, აუცილებელია მოხდეს 2ტსს-ის შედეგების შეფასება კონსერვაციასა და ფრინველთა ტერიტორიებზე ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის ოქმის 45h და 45i მუხლების შესაბამისად.

იმისათვის, რომ დაიდოს მკაფიო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ახდენს თუ არა კონცეფცია, ან გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი ინდივიდუალური პროექტი მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ევროპის მნიშვნელოვან ლოკაციებზე და ფრინველთა ტერიტორიებზე, შეფასებისას ასევე აუცილებელია გათვალისწინებული იქნას შესაბამისი კომპეტენტური უწყებების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ალტერნატივების შეფასება, ჩვენ მოვითხოვთ, მკაფიოდ იქნას აღნიშნული, დასაშვებია ცალკეული ალტერნატივა, თუ დაუშვებელი, ან შეიძლება დაშვებული იქნას გაკრვეული პირობებით.

ამას გარდა, ჩვენ ვითხოვთ, განსაზღვრული იქნას გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზეგავლენასთან დაკავშირებული ალტერნატივების პრიორიტეტულობა, ინდივიდუალურად დასაშვები ალტერნატივების ჩათვლით, ამ ალტერნატივებთან დაკავშირებული პირობების მითითებით, უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის, ან მათი აღმოფხვრის, შემცირების, შერბილების, ან საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრისა და შეფასების ჩათვლით. მოსაზრებები სხვადასხვა ალტერნატივებთან დაკავშირებით შეიძლება სხვადასხვა იყოს.